ალექს ჩიღვინაძე

ქალაქის მერის ცოლის საყვარელი

Scanned with CamScanner

სააბაზანო ოთახი. კაცი უნიტაზზე ზის. წელზემოთ შიშველი. წითელი ჰალსტუხი უკეთია. შემოდის ქალი. საღებავი სახეზე ჩამოდღაბნია. წითელი კაბა აცვია. მერლინ მონროს ვარცხნილობა. სარკის წინ ჩერდება. კაცი მთვრალია. ხელს ხვევს და მიიზიდავს. ქალი კალთაში ჩაუჯდება.

Scanned with CamScanner

კაცი. შენ გინდა ბევრი ქმარი. ბევრი ყლე გინდა. ბევრი ბავშვი გინდა.

(ქალი არ პასუხობს. ტირილისგან თავს ძლივს იკავებს.)

კაცი. რა, არა? (პაუზა) რად გინდა?

ქალი. საშინლად დათვერი.

კაცი. მითხარი, რად გინდა?

როდის მოვა შენი ქმარი? არ გეშინია?

შენი ქმარი ქალაქის მერია. მე კი... მე უკანასკნელი მაწანწალა ვარ. ლოთი და მაწანწალა.

რა გინდა საერთოდ ჩემთან?

ჩალეწე ეგ სარკე. აიღე ერთი ნატეხი და გამომისვი ყელში. რატომ მითმენ? ჩაამტვრიე სარკე და ყელი გამომღადრე.

ქალი. არ შეგიძლია რომ გაჩუმდე?

კაცი. წადი შენი დედაც...

ქალი. ხელი გამიშვი.

კაცი. შენ არ იცი, სად მთავრდება ჩემი გონება და იწყება შენი.

ქალი. შენ ეხლა ისიც არ იცი, სად მთავრდება შენი ხელები.

კაცი. შენ საერთოდ არაფერი არ იცი.

Scanned with CamScanner

ქალი. მართალი ხარ.

კაცი. არც ის იცი, როდის მოვა შენი ქმარი.

ქალი. ნუ დაიწყე, გთხოვ.

კაცი. ტირი?

(კაცი იწყებს სიმღერას. (Louis Armstrong-ის What a wonderful world-ს) ქალს ხელს არ უშვებს.)

ქალი. არა, არ ვტირი.

კაცი. გადაწყდა, ჩვენ ველოდებით შენს ქმარს.

ქალი. შენ დაელოდე.

კაცი. ჩვენ პირველად ვართ შენთან სახლში.

შეიძლება წამი-წამზე დაბრუნდეს... ნეტავ რას იზამს აქ რომ დავხვდები? დაცვას დაუძახებს თუ თვითონვე მომვარდება?

ქალი. თვითონ რისი ტრაკი აქვს...

კაცი. წარმოიდგინე სტატიები: ქალაქის მერმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო და შუბლი გაუხვრიტა.

ქალი. მე დავწვები.

კაცი. კარზე ზარია.

ქალი. გეჩვენება.

კაცი. შენც მეჩვენები?

ქალი. აბა რა.

Scanned with CamScanner

(კაცი ხელს უშვებს. უნიტაზიდან ცდილობს წამოდგეს, მაგრამ ვერ დგება და ძირს ეცემა.)

ქალი. რატომ სვამ? რატომ?

(კაცი კვლავ ღიღინს იწყებს და იცინის.)

კაცი. გინდა ჩემი ახალი ლექსი წაგიკითხო?

ქალი ოხრავს და ცდილობს წამოაყენოს.

ქალი. ეტლს მოგიტანი...

კაცი. არ მინდა ეტლი... ასე დავხვდები შენს ქმარს, მატლივით... მოვწევდი ახლა...

ჰა, არ გინდა ლექსი?

ქალი. გეხვეწები, ფილტვების ანთება დაგემართება.

კაცი. დამემართოს, შენი ქმარი მაინც მომკლავს. შენი დედამოტყნული „ბურჟუაზიელი" ქმარი, ქალაქის მერი თავისსავე ტუალეტში აღმოაჩენს შიშველ მატლს, რომელიც კითხულობს ლექსს.

ქალი. წავედი მე, დავწექი.

კაცი. წაეთრიე, შე ბოზო... თვალით აღარ დამენახო.

(ქალი მიდის.)

რატომ მღალატობ? რატომ?

(პაუზა)

ქალაქის მერი, ვის ჭირდება ინვალიდი ქალაქის მერი.

Scanned with CamScanner

ცოლის საყვარელიც კი ვერ ვითამაშე ნორმალურად.

(ძლივს-ძლივობით წამოჯდება, რომელიღაც ჟურნალისტს ბაძავს, ზედმეტად პათეტიკურად და მანერულად, ქართველი მსახიობების სტილში)

ქალაქის მერი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ უახლოეს პერიოდში გახსნის ხელოვნურსაფარიან საფეხბურთო მოედანს, სკვერებს და უზრუნველყოფს ქუჩების განათებას. ქალაქის მერია ზრუნავს თბილისის მოქალაქეებს კეთილდღეობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახლგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, ახალი საფეხბურთო მოედნების გახსნა კი ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს...

(ხარხარებს)

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ.

(იღებს წამლების შეკვრას და ფერად კაფსულებს მუჭით იყრის პირში)

ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

(ხელებს ისე შლის, თითქოს ჯვარზე იყოს გაკრული)

არჩევნები მეორედ მოსვლასავით არის, მუდმივად უნდა ელოდო".

Scanned with CamScanner

(ამ ფრთიანი ფრაზის ავტორი მოლა ნასრედინი არ გეგონოთ, ის ქალაქის თავს ეკუთვნის. იგი ინვალიდია, მაგრამ არჩევნები შედგა და ისიც მეორედ მოვიდა, ოღონდ ამჯერად პირდაპირ...)

(პაუზა)

დედა მოვტყან ამ ქალაქის. დედა მოვტყან ჩემი ცოლის. დედა მოვტყან ყველა ღარიბის, უმუშევრის, ფარისევლის, ყველა ლტოლვილის დედა მოვტყან. ყოველდღე ათასობით განცხადებას რომ წერენ ჩემს სახეზე. როგორ მძულს ყველა. როგორ მძულს თავი...

(მთელი ხმით მღერის Louis Armstrong-ის What a wonderful world-ს. შემოდის ქალი. შემოაქვს ეტლი. ზედ ძლივს სვამს და სცენიდან გაჰყავს. კაცი სიმღერას აგრძელებს.)

Scanned with CamScanner